

1  
1964

ნან. ვ. ლომუხანი

ქართული  
ბიზნეს-საზოგადოებრივი



№ 7 თბილისი აპრილი 1964

**ბიზნესი**

ბამბუცების 41-მ ფელი. ფასი 20 კპ.


...ამასთან შრომის წიგნაკში გამოჩნდებიან ისინიც, ვინც არ მუშაობს და მშრომელთა ხარჯზე ცხოვრობს, როგორც პარაზიტი.  
 (ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე 1964 წლის 28 თებერვალს).

— საინტერესოა, ეს ახალგაზრდა რას ჩასწერს შრომის წიგნაკში?!



— ამდენი პროექტორი რად დადგეს სტადიონზე?  
— ჩვენებმა უკეთ დაინახონ მოწინააღმდეგის კარი.

# ჩემი სხივები



იღვა იანვარი. თოვდა. თბილისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მახლობლად ერთ-ერთ შენობაში ქათმები დაბინავებულიყვნენ. ერთფეროვნებამ მათ ლაპარაკის საღერღელი აუშალა. ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, ნაწილისათვის კი სულ ერთი იყო, რამეთუ იცოდნენ, რა ხანმოკლეა მათთვის წუთისოფელი, ხოლო ყვინჩილები კი გაცეცხლებულნი გაჰყოდნენ სხვადასხვა ხმაზე.

მარტო ბებერი და გამოცდილი მამალი იღვა ეულად, თვალები მოეჭუტა და ღრმა ფიჭის მისცემოდა, ბოლოს მანაც დაარღვია სიჩუმე და იქვე მჯდომ დედალს ხმადაბლა უთხრა:

— ესეც ასე, ისე ვატყობ, დღეს უვანშობლად დავრჩებით.

— როგორ თუ უვანშობლად? — გამოვლანარაკა დედალი ხმამაღლა. ეს ამბავი ხელად მოედო საქათმეს და ატყდა ერთი კრიახი.

— მართალია! სწორია! ჩვენზე სამართლიანად ჩივიან მომხმარებლები, მათ უხდებათ ჩვენი მომზადებისათვის დახარჯონ ზედმეტი ცხიმი, რადგან იგი სრულიად არ გავგაჩნია.

და ქათმებმა, ტრადიციისამებრ, საჩივრით აფრინეს მამალი.

საჩივარს უქმად არ ჩაუვლია და დეტალურად გამოირკვა, თუ რატომ დაჩინენ ქათმები უვანშობლად.

19 იანვარს მეფრინველეობის საკვები მეურნეობის დირექტორმა ვლასი ჟორჯოლიანმა გასცა განკარგულება: საწყობის გამგეს, შალვა ახვლედიანს, უნდა მოემზადებინა მანქანა და გარდაბნის რკინი-

გზის სადგურიდან მიეღო კომბინირებული საკვები. მანქანის მძღოლმა, არტემ გაბრელიანმა, კი, მიიღო თუ არა საგზური, შურდულივით გაქანდა. გარდაბნის რკინიგზის სადგურზე არტემმა მანქანაში ჩატვირთა სამი ათასი კილოგრამი კომბინირებული საკვები და ტატიო დაადგა გზას. ბინდებოდა.

— ქათამი აღამიანის საკვებადაა გაჩენილი, — ფიქრობდა არტემი, — ჩემი ტვირთი კი ქათმის საკვებია, მე აღამიანი ვარ, ასე რომ, თუკი ქათმის საკვებს მივითვისებ, ცოდვა არ იქნება, არც არავინ გაიგებს, რომ ქათმები უვანშობლად დაჩინენ, ბოლოსდაბოლოს, ქათმები ხომ ვერ მიჩივლებენ?

გაბრელიანმა მანქანა გარდაბნის რაიონის სოფელ როზას შუაგულში დაამუხრუჭა, მუშტრები ბუზივით დაესიენ, გაჩაღდა ვაჭრობა, ტომარა ტომარაზე იყიდებოდა, იფლში იწურებოდა ვაჭრობის მოყვარული მძღოლი. სამუშაო საათი დიდი ხანია დამთავრებულიყო, საქმისათვის თავდადებული ნოქარი კი მაინც განაგრძობდა მუშაობას. შეეცოდათ, თხოვეს დასვენება, მძღოლის მოწმობაც ჩამოართვეს და გარდაბნის მილიციაში მიაბრძანეს.

უხაროდან ქათმებს, რომ დამნაშავე აღმოჩნდა და რომ იგი სწორედ იმ დღეს უვანშობლად დატოვეს, მაგრამ საკითხავია — უხაროდან თუ არა ეს გაბრელიანის მფარველებს? საფიქრებელია, რომ არა.

ბ. ჯაფარიძე

# ექსკურსია ტვირთქვეშ

გაზაფხულის სუნი და ექსკურსიაზე წასვლის სურვილი ჩვენს კამტორამს ერთ-ერთად შემოვარდა, ატყდა სჯა-ბაასი, კამათი, ადგილების შერჩევა.

— მე თუ მკითხავთ, საექსკურსიოდ ბანძას არაფერი ჯობია. დანგრეული კვლესიების ნახვას ბებიჩაჩემის ნახვა თუ არ გერჩივნოთ, რაც გინდა, მითხარით! — წამოიძახა ჩვენმა ბუღალტერმა.

— ბებიჩაჩემი კი არა, დიღომში მამაჩემი ვერ მინახავს.

— თქვენთვის ვამბობ, ღვინის ფულიც ჯიბეში დაგრჩებათ, თორემ რა ჯიბის ბებიჩაჩემს თქვენი სანახავია.

ჩვენმა თანამშრომლებმა ექსკურსიის ადგილად მცხეთა შეარჩიეს. აი ვდგევართ თბილისის სადგურზე გუდანახადაკიდებულნი და მორჩილად ვვლოდებით მატარებლის დაძვრას.

აჭალოს სადგურთან ამინდი და ხსიათი ერთად გავვიფუჭა, ჟინქვლა დაიწყო და წვიმის წვეთები ფანჯრის მინებზე მარცვლებივით დაეკიდნენ. მცხეთაში მცირე თათბირი გავმართეთ. გადაწყდა, სურსათ-სანთვავე და დამხმარე ბარგიბარხანა რკინიგზის სადგურის შემნახველ საკანში მიგვებარებინა.

— შემნახველი საკანი საით იქნება? — შევეკითხე სადგურის მორიგეს.

— ჰმ... შემნახველი საკანი იცოცხლეთ გვექონდა, მაგრამ ეს რამდენიმე წელია ა. კ. რკინიგზის სამმართველომ ჯერ რადიოკვანძი გავვიწყა, შემდეგ ცნობათა ბიურო და, ბოლოს, შემნახველი საკანიც ზედ მიაყოლა.

— ვახ, ეს როგორ, მცხეთის გამოუღვეულ მგზავრებს ასე ემსახურებით?

— თქვენ რა გიშავთ! აქ ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოდიან ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად, მოვლენ, დაგვიწყვენ ჯერ თხოვნას, მერე მოთხოვნას, მაგრამ, რომ ვერას გახდებინან, მოიკიდებენ ზურგზე და მიაქვთ ტვირთი.

— აბა მაშ ჩვენც ასევე მოვიკიდოთ, არა?

— ერთ გზას გასწავლით, იქნება გამოგადგეთ! აი, მანდვე პარიკმახერი მუშაობს, ისეთი პატოსანი კაცია, თქვით რომ მიაბარო, ფიქრი არ არის, ისეც ის თუ გიშველით, თორემ არ არის საშველი.

პარიკმახერმა ჩვენს თხოვნაზე წყალში ჩავარდნილივით ხელები გაასავსავა.

— არა, ძმაო, ამას წინათ ვილაყა მგზავრმა ორი გუდა ყველი მომბარა და ერთი კვირა დიკარვა, იმ ყველმა ისეთი სუნი გაუშვა, მუშტარი სათოფეზე აღარ მეკარებოდა, იმის შემდეგ ჰკუპა ვისწავლე, არ შემოძლია...

დიდი ხანი ვუმტკიცეთ: პრასისა და ნელლი ხახვის მეტი არაფერია ტომრებში, მაგრამ ქვა შეავდო და თავი შეუშვირა. ავიკიდე გადაღლებილ მხარზე ისეც ის ყანყარატომდე გავსებული ზურგჩანთა და ტვირთქვეშ მშვილდივით მოღუნულმა ფეხით შემოვიარე მცხეთის მთა-გორიანი შემოგარენი. წვიმისაგან დამბალი და შეცივებული კბილებს კბილებზე ვაცემინებდი და კაპასი ქალივით ვიწყველებოდი.

თბილისში კანკალით და ცხვირისცემინებით ჩამოვედი. იმ დამეს დიდი სიცხე მომცა. ბავშვები მიმტკიცებენ, ძილში რკინიგზის სამმართველოს, მცხეთას, რადიოკვანძს, ცნობათა ბიუროს და რაღაც შემნახველ საკანს ახსენებდით. არა მჯერა, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია; იქნება მართლაც ასე იყო.

3. არაგველი.


ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს მოწინავეთა გამოცდილების სკოლები ფორმალურ ხასიათს ატარებენ.



— გეყოფათ ამდენი მეცადინეობა, ახლა ნაკვეთებში გამოდით სამუშაოდ!



# პატრიოტიზმი პედაგოგია



ზოგი ადამიანი ბედქულაა, ზოგი, პირიქით, უბედურ ბედზე დაბადებული.

რენტგენი ბედქულა იყო, პელაგია გონგაძე უბედურ დღეზე დაბადებული.

რენტგენმა რაღაცა სხივები გამოიგონა და მსოფლიოში გაიტქვა სახელი, როგორც დიდმა მეცნიერმა.

პელაგია გონგაძეს უფრო მეტი დამსახურება მიუძღვის ხალხის წინაშე, მაგრამ ვინ დაუფასა, ბეჩა!

ეჭიშმა ბევრი რამ უნდა ისწავლოს და ლათინურიც.

პელაგია გონგაძეს არც არაფრის ცოდნა სჭირდება და არც ლათინურის.

იცის ყველაფერი პელაგიამ, გამჭრიახი ქალია, ყოვლისმხედველი და ყოვლისჩამწვდომი, ერთს გახედავს კაცს და მანვე იტყვის, რა ტკივა და რა არა, რა მოუხდება და რა არა.

წამალი აქვს ერთი, უვნებლად შეზავებული მღვრიე წყალი, ზოგს შუშაში უსხამს, ზოგს ბოთლში, ზოგს ქილაში, ზოგს დღეში სამჯერ ასმევს, ზოგს ორჯერ.

წამალი უფრო ხშირად საწამლაეცაა, ერთ ორგანოს თუ რგებს, სხვას ვენებს, პელაგიას წამალს კი ეს ნაკლი არ გააჩნია, იგი იმითაა უებარი, რომ არც მავნებელია და არც მარგებელი, გინდა დაგიღვეია და გინდა არა, არც ღოზა სჭირდება და არც ღოზანა.

ეს „უანგარო“ და „ღვაწლმოსილი“ პიროვნება წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიკეთშია დაბადებული, გაზრდილი, დაქალბებული და დასახლებული. მისი დიდება პატრიკეთის საზღვრებს კი არა, წყალტუბოს შემოგარენსაც გასცდა და წულუკიძეშიაც ამოჰყო თავი. მაგრამ ეს სულაც არ არის საქმარისი; რა არის დიდება, თუ იგი ერთ მუჭა საქართველოს მაინც არ გასწვდა, ამიტომაც ვუყრით ჩვენ ამ მცირედი წერილით საფუძველს სახელმწიფო პელაგიას სახელის საქვეყნოდ განთქმას.

წულუკიძის რაიონის სოფელ კუხიდან მოვიდა პელაგიას

დიდების ამბავი ნიანგის ყურამდე. თურმე ერთი კუხელი ისე ავად იყო, რომ ათმა ეჭიშმა ვერ უშველა და პელაგიამ თქვა, ასეთი ერთი კი არა, ათასი მომირჩენია და ესეც ათასმეერთე იყოსო.

— იყავიო, — უთხრა კუხელს პელაგიამ.

— ვიქნებო, — მიუგო კუხელმა.

მისცა კუხელს პელაგიამ ერთი ქილა და ერთი შუშა უებარი წამალი, გამოართვა 50 მანეთი საფასური და გაისტუმრა სამშვიდობოს.

სვა კუხელმა „წამალი“, წრუბა, წრუბა, მაგრამ არა და არ დაეტყო უკეთესობა, იტაცა თავში ხელი, ამ მღვრიე წყლისათვის 50 მანეთი რომ გადავიხადე, ნუთუ თავში ჭკუა არა მქონდაო.

მიაკითხა პელაგიას.

— არ მომიხდა შენი წამალიო.

— შეუძლებელიაო, — ხელები გაასავსავა პელაგიამ.

— ფული დამიბრუნეო, — მოითხოვა კუხელმა.

— ცოცხალი თავით არაფერს მოგცემო, — თქვა პელაგიამ.

ეს რამდენიმე თვის წინათ მოხდა. დადის მას მერე კუხელი, დადიან მას მერე კუხელებიცა და არაკუხელებიც და გახელებით ითხოვენ ფულის დაბრუნებას, მაგრამ ამოდ, ხმა მათი რჩება ხმად მალაღებლისა პელაგიას სამფლობელოსა შინა.

პელაგია უნიკალური პიროვნებაა პატრიკეთში, მაგრამ, საერთოდ, პელაგია სულაც არაა უნიკუმი. არიან პელაგიები სხვაგანაც, ებმებიან პელაგიების ბადეში სხვები და სხვები, და იშვებენ და იხარებენ პელაგიები. ასეთი კლიენტები ღმერთმა გვიმრავლოსო.

ძვირფასო და საყვარელო პელაგია, გვეყო შენი ღვაწლი, ნუ ართმევ ეჭიმებს ლუკმაპურს, ჯობია პური მეპატრემ გამოაცხოს.

მაშა არა თუ!

## თანამდებობა და სალაში

სამსახური ახალი დაწყებული მქონდა, უბრალო სამსახური.

ჩემი მეზობელი პორფილე დილით გადმოდგებოდა აივანზე. დამინახავდა თუ არა, შემომძახებდა:

— გამარჯობა, კაკოია!

გაგიმარჯოს!

— რაღა გაქვს, ბიჭო, საქმე?

— ჯერჯერობით არა უშავს, ვნახოთ, მომავალი წინაა, ახალგაზრდა კაცი ვარ...

— ახალგაზრდა თუ არა, შენც ახლა ღირებულად ან მინისტრად არ დაგნიშნონ! — ჩაიქირქილებდა იგი და გამშორდებოდა.

საღამოობითაც თითქმის იგივე მეორდებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, თითქოს პორფილეს ჯიბრზე, ერთი პატარა დაწესებულების ღირებულების მოადგილედ დამნიშნეს:

— კაი გამარჯობა, აკაკი! — მომძახებდა და ოდნავ თავშეკავებული დაყოლობდა:

— როგორაა საქმე, პატივცემულო აკაკი?

— გმადლობთ, არა უშავს!

— აბა, შენ იცი, პო, გვასახელე, გენაცვალე...

ერთი-ორი წლის შემდეგ ისე მოხდა, რომ ამ დაწესებულების დირექტორი გავხდი.

— დილა მშვიდობისა, აკაკი პანტელეიმონოვიჩ! როგორაა საქმე?

— გმადლობთ, არა უშავს!

— აბა, შენ იცი, პო, თუ გამოგვადგები!

რამდენიმე წლის შემდეგ კი ერთ-ერთი ტრესტის მმართველის თანამდებობაზე დამაწინაურეს.

— ჩემი ძვირფასი სალაში, ფრიად პატივცემულ პენტელეიმონოვიჩს! — ახლა მხოლოდ მამის სახელით მომესალმა იგი. — როგორ ბრძანდებით, ბატონო პანტელეიმონოვიჩ, როგორ გაქვთ საქმეები?

— გმადლობთ, შენი ჭირიმე, არა უშავს, კარგად!

— კარგად გამყოფით გამჩენმა ღმერთმა! აბა, თქვენ იცით, გვასახელე და ესაა!

სულ სამი წელი შევრჩი ამ თანამდებობას და პორფილეს მაღალფარდოვანი სალაში არც ერთი დილა-სალამოს არ მომკლებია.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამანათვისუფლეს თანამდებობიდან და კვლავ უბრალო მოსამსახურედ დავიწყე მუშაობა.


გაიგო თუ არა პორფილემ ეს, ყოველ დილით კვლავ მოაჯირთან მხედება და უკვე ახე მესალმებდა:

— კაკოია, გამარჯობა, ბიჭო, შენი რაღა ხარ, კაკოია, რაფერათაა შენი საქმე?

რა უნდა მოგკითხო ასეთ მეზობელს, სალამს სალამით ვპასუხობ და მივიდივარ ჩემ საქმეზე.

რას იზამ, ადამიანია და ხასიათი.

ა. გოგიაშვილი



ჩვენი ოჯახი

— ენაცვალოს ჩემს ბიჭუნას დედა, სულ მამას დამსგავსა, დედადამ თვალხუჭობანას თამაშობს.



— შეველო სად არის?  
— შეთავაზებით მენახებოდე მუშობას.

# JA, ასე ზარია ჩემი

ალექსი, მიტო და მე ახლავარდ წყნებით ცხოვრებას უნახანდალად  
კვირს დაფიქრებით და საზეიმო ვიარაგებში აღმას დადეთ არასოდეს  
არ დავაპრობო პირი სანძულს.

— რა ახლა გადგება, — თუვა მიტომ.  
— აქამდე რომ ვაქამდით, სხეულდეს ჩავდიოდით, — დასმინა ალ-  
ექსმა.

— პირა, მოვედეს სოფელდეს პატარნი, — დავასვენი მე.  
— პირა, წე დავედეთ, — თუვა მიტომ.  
— წე დავედეთ, — დავიმამბა ალექსი.  
— წე დავედეთ, — კვერი დავუკარი მე.  
გადაწყდა კიდევ სუთი დღე და, მივლინებიდან რომ დამბრუნდებო, ცოლგას გაგივრებო. ახლა მათზე ირმაბალიდან ირმაბალიდან სულ უხეს-  
დებო რომ მიველოდ და „კასილი“ „კასილი“ მხოლოდ ვეკარო-  
ნახს, აღმთი, თუთიწვერ გასკვლავან ვეუბნე, ახლავ, ახლავ ვეუბნე,  
ფუნდამინდურად, სასოფლიანად, დღამდინანდად თაყვანდ ხოლომდ,  
ერთი სიტყვით, ძირფუძვინად შევლოლას რომ ვინაბავდ, სხვა რა ვა-  
ჭკვი, გადაიწყვიტე ნამდვილად.

— რა უნდა ხარ? — მეტახის წყნის ცოლი.  
— დიას, ეს მე ვარ, — ვიტყვი მე.  
— არა მეონია, — იტყვის წყნის ცოლი და შერბას ათერბას.  
— როგორ არა, კი.  
— კი, კი, არა, კი.  
— არა, კი, არა, კი.

კვირა დღეს და თურთმეტი საათისათვის მიტოსაც გაეღვიძა, ალექსი-  
საც და მეც...  
— ვიასუზიო!, — დარგა მიტომ.  
— ვიასუზიო!, — დავუგდა ალექსს.  
სუე წყნის რესტორანში ვაქმნიდი. სასუფრეთი კერები და პირფრის  
წყლი შევევრეთი გაიფიქრე მიტოსმა, რომელი ვერბას არ ვუგვრეს, შე-  
კვეთის უსიამოვნოდ იღებს და წაჭად მიუბრუნება სამწარფულსკენ.

თითო-თითო კვირა პირფრის გადკვეთა, — თითო-თითო ლუკრა  
ჩავიფიქროე პირში და ვიღვრებოთი სისრულად სურწარე პირფრისპირისმე-  
ნი კერები და სამარისებური ფულით. არ ვიცი, რამ დამაშურა, ამ წი-  
ტოს და ალექსს რამ შევკრათი კრება და აი, უკვე იქნება მიწვენიდო  
ცავე.

— „ვიარებო!“ — გახსნა მიტომ მიტომს.  
სიომ არ გავიგებო? — გაუწერა ალექსი.  
— ავი პირბას დადეთ, აღარ დავევლია, — ენა ამოვიღეთ მე.  
— ვინ გინებიათ, დავლოთო!  
— ახა რად ვინდა კონია? —  
— დავლოთ და ვუკროთ...  
— ვუკროთ!  
— კვილო, ვუკროთ!

დასა ორი „ვიარებო“ სურწარე და ვიარებებს წევნ და ვიარებები  
წევნ კარგია „ვიარებო“, სასურწარედ კარგია, მაგრამ მე ნებისყოფად  
ვარ ნაბალო, ნებისყოფის ბურთი ვარ, ვარ ცოცხე ვაჭრებულ და, რავე  
გაქვნიდოლი მიტეს, აღარ დადეთ, რას დაწყებებს „ვიარებო“, მიტომის.  
სანამ მიწვენიდო.

— ძვირფასი კონიაა, „ვიარებო“, რომ არ პირბოძეს, — ამბობს  
მიტო.  
— ჩინებულ დასალოთა, — ვამბო მე ნალოლიანად.  
იხვე დაწილი და დღემი განიბრული ლუკრა.  
— რა კარგია, სხსს რომ ათვი დაქანებო! — ამბობს მიტო.  
— კარგია, — ვამბობ მე.  
— ალექსი კი არაფერს ამბობს, დუს დაფიქრით განავრბობთ ვამბს.  
კარგი ვიფიქს, ვიფიქს განუწვევებო.

— საჭირო დღეა, — ამბობს მიტო და ნაღვლიან თვალებს არ ამო-  
რებს „ვიარებო“.  
— ვიცი ვიცი, რომ საჭირო დღეა, მაგრამ მე რა, უნარდელი მსმულეს.  
ალექსზეც იყის, რომ საჭირო დღეა, მაგრამ უპირობაა



— გახსნა მისი სიტყვითა, ვინმე რომ შემოვტყვროს.  
— სი, სიტყვით  
გაქვნიდო.  
— ჩინებულ ლუკრა.  
— გემო კიდევ წინ, მაგრამ წევნ რა, უნარდელი მსმულეს.  
— რომ დაგარბო, ქაღის იყიდეს.  
— ეს, რა არის აქვს, შენი ველებას თუვა წევნ რა...  
— თუარტი მათისა, რა ვწინა, სასურწარე...  
— არე ზოლორისა გაგადამტყვროს...  
— ვინაში?  
— ვინაში?  
— ვინაში?  
— ვინაში?  
— ვინაში იხვე  
შევევრეთი კონია და შელოვტყვროს კონია. გვიდა სხვა რამზე  
ვისებოთი, მაგრამ არ გახსნებებს კონიათ.

— კარგი კონიაა „ვიარებო“.  
— „ვიარებო“ კი და საჭიროდ ველო კონიაი კარგია.  
— რავე კარგია, ეს და კარგი „ვიარებო“ კარგია.  
— „ვიარებო“ სოფელდეს კონია, „ვიარებო“.  
— საჭიროდ კი და კარგიც კონიაი კარგია, რომ ვაქამდო.  
მაგრამ სოფელ, წევნ რა აღარ ვაქამო, — იხიბავს მიტო.  
— ნაქამდა წე რომ აღარა ვაქამო, — დავცემე მე ჭირისუფა-  
ვითი დაბელოვარებო.

— ალექსი დუს, წყნის დუს და მერე მილოდნულად, უკვე შე-  
წვენიდო „ვიარებო“ ზედა, — ვარე, მიწველო, — ვერბის ჭირ-  
ისებური ვაჭრებო მოსამარლოდ, და მიტომ ვერე კრებადი ვერ-  
წვენი.

— რა ვწინა?  
— სასურწარე კარგია.  
— მიწველო, აღი.  
— ვამე, ვამე, „ვიარებო“, არა, არა, კონია...  
— ვაქმნიდო კონიასტრისის მისიმი ვაჭარა, სიამებულისგან ვამბა-  
რა, მიწარა, ვამარწველო, აღარა სანთი, „სასურწარე დაბარება“.

— კარგი სანძულ „ვიარებო“.  
— სასმული კი და წაქმნა ვაჭარი.  
— რადაც შენი ველებას მიწველო.  
— ვიე ვაჭრებს, ზინა.  
— წევნ დადეთ!  
— რომ არ უნდა დადეთო? — რადაც ვანხე დღეას მიტო.  
— დასაველო კი ხა, იხე, წაქმნე დალოთო.  
მე და ალექსი ვეწმი წაქმნე, მიტო არ სვამს.  
— რატომ არ სვამ მიტო?  
— მიტომ, — ვამბო მე.  
— შეიწვე დესე მიწველო, — წინადადებს იხილავა ალექსი.

— ვინა კონიათი ვერე ზოლას, შეველო მეტამ.  
— ვინა კონიათი ვერე ზოლას, შეველო მეტამ.  
— ავი ახლავარდ უნდა ვევევობრა, — დღელვებ მე.  
— რა ვევევობრა ველო იყის, სუე იყის, იხიბემე იყის, — იტყვება  
ალექსი.

— ახლა კონიათი ცოლი ბოილები ვევიარებო წევნ, მაგრამ სამავე-  
როდ, წევნ ვეკარ ვევევობრა სხვა ვევევობრა ვევევობრა.  
— აი, ასე ვიცი წევნ თუვა და წევნ მე და ალექსმა.  
— მიტომ ველოვარე იმ უსიამოდ, თუვა... სამარაღმა რომ ვერე  
ვამის, ვინიდე ველოვარე მიტოს, ავი წევნ ვაჭრებულ წევნ სიტყვი

სასანდანი

## ვალს პარილიზ მოსტარით...

მახსოვს, ერთ მშვენიერ დღეს სამსახურიდან  
დაბრუნებულს ჩემი კარის მშობილი მიწვილი  
შემხვდა სიდარბასო შემოსვლადი და მხა-  
ნა:

— გელორია, ამიერიდან ანტისანიტარის სა-  
შუდადლო მოსახობაში დღესვე გააშვებ ცოლანდ  
სანავედ ვუბნებს. მის მაგიერ ვეველო დილით სატ-  
ვიროს მანქანა ჩამოიღოს და გზიდადს ნაგავს.

— ახა, გავფიქრებია და ვე არის! — ბუწური  
აღარ შეგვევარებებენ, ფანჯრის გაღება აღარ მოე-  
ვევრებია და ვესურბეთავე სუფთა პატივით, ჩემი  
მიწვილი.

— იცოტებო, აწი სუფთა პატივი ძლომაზე  
ბეწვენიდა!

— მთელი დღეს სისხამ დილით, ირგრაფა თუ  
არა, სამარისებური სიჩუქე ზარის გამაყვრებულ-  
მა მხედ დარღვია.


— მივიღი სასული ვესეწე დადე.  
— ძილდამფრთხილი მშობილები ფანჯრებს მო-  
აწველა.

— რა მოხდა? — ისმობდა აწი-იქიდა.  
— დილა მთელი დღისა მისიმი — გამკვიდა  
სატრეპილი მანქანის ძარბე შედგარო ვამბა-  
როს ახალბურდა. — ჩამოტარა ნაგავი, ჩამო-  
იტია!

— კი ბატონო, კი... ახლავ... — გაიბადრენ  
მშობილები. მერე კი სანავედ ველოდობით თუ  
ვეუბნით ხელმძღვრეველო კალი, ბავშვი და  
აქვი ეწვიმი გამომართა მანქანიდან.

— მიუხედავად იმისა, რომ, ცოცხა არ იყის, გე-  
ვიდა დილადგინიანად გატრეპილი (სიმარტო  
ჭირილი ვიწმინდა) უკვე ნაწილები იყის ამ  
ახალი დონისებრისა და ტრეტისა, ჩვენს „მკვიდე-  
მანქანა“ ყოველი ჩვენთგანი პატრიცევიმით და  
სამარისებრი ხვედებო.

— მაგრამ აი, ერთ დღეს, ნაცნობი ზარის წარე-  
ბი აღარ გახსნა უსიმი.



ნანა

შეწვენილი მშობილები სანავედ ყუბიბით და  
ვევრებოთი ზრუნვა-მანქანის მიწვილიმ წი-  
ნას ვევევით უსიმი და ორდობად მიწვილი-  
ლით ალექსის ვაჭარა.

— დღესვე და უსიმი! — მოგეს სამარე-  
ული ისახისის ნარჩენებით მიტეს ვაჭრებო!

— გუნი სტურბრები მაყავა... ტრეტი რომ არ  
მივიღეს და დილით, ამივიარბობით ნასწვილად  
იმ ხსენებო...

— ჩემსავით გაჭირებულ მიხვ არე ერთი  
არ იქმნებო. გავილი მიტეს სასული ავევის შე-  
საველი წაღვადდებო.

— მივა ველო „მკვიდაპა“, ვაჭრებო... წე  
დღესვე... — ამწვიდებდა დიასახლისებს მიხე-  
ვილი.

— მიტო! დილით მიწვილი უსო სავევრებო შე-  
ვდა ტრეტე.

— სად იყავი, ყმაწვილო, გუნიწ... შე უღმერ-  
ოთ, ნაგავი სასმით შეგვაბახებო?...  
— რა უკასპისმეგვევლია...? — უნეს მილო-  
დანი ლამის ამიწვილიდა!

— ჰელოდგინიანად დასვენილები დღე მერე-  
და, მამ არ დამწვენენა? — გულიანად ვაჭევა-  
ტრებს.

— დასვენილები დღე გველოთის და ალექსი  
იყის მწვენი, მაგრამ... ნაგავს რა ვუვით ასეთ  
დღესვე...! — მორიდებით იყისა მიწვილი.

— ტრეტე მწვირე ათერბა. მერე კვესა მოიქცა და  
აქტიორტბულად ვაჭევატრებს.

— მაგრამ ნაგავი ნაწილები ნაწილებო აქვს... ჩა-  
ნაწილები ვაჭევატრებს, ჩამოიტია!

— ეი, შეიღობს, — დარღიანად ამიბიარა მი-  
ხეობა, — მაგას სულ შევებით. მარტო მო-  
ყავით...


ანადო ნანანა



— აფუსი არ არის მაგ გაჩინილიაყ იყის და მე ქა-  
ლიშვილი?



როცა თვითონ სხვაგან მიდის.



- ელეფთერი შეხვდა დომენტის:
- ელეფთერს ვახლავარ!..
- დომენტის გაუმარჯოს!..
- გაიგე, კაცო, ახალი ამბავი?..
- მაინც რა?..
- გოგია ღირლიტაძეს წიგნი გამოუცია!..
- რა წიგნი, ხომ არ შეიშალე!..
- ლექსების წიგნი, — ღირიკა!..
- არ გადამრიო!..
- ძმობას გეფიცები!..
- არ გაუბედნიერებიათ ი უტვინო ბატი?..
- აბა, კაცო, აბა!..
- ისიც თუ პოეტია და...
- თმები კი აქვს პოეტით მოშვებული...
- ხი, ხი, ხი, ხი...
- ხო, ხო, ხო, ხო...

ამ დროს გოგია ღირლიტაძეც გამოჩნდა. ელეფთერი უცებ გაიბადრა, დომენტიმ ხელები გამალა:

- გოგიას ვენაცვალე!..
- ჩვენს პოეტს ვახლავარ!..
- ყოჩაღ, ძმაო, შესანიშნავი წიგნი გამოგსვლია!..
- ბადაგივით ტკბილი ლექსებია...
- შენმა ლექსებმა შემაყვარა თვით პოეზია!..
- გენოსი ხარ, გოგია, გენოსი!..
- შენი ჰირიმე!..
- შენ გენაცვალე!..

შ. მარმარაშვილი

# საოთხობა



პატარა მაკედონი... სამხანური... სიგარიტებისა და სიგარეტების კვამლი... ხალხით გაჭედულ დარბაზში გამაყრებლად ჟღერს „თანამედროვე“ მუსიკა. და დამსწრე საზოგადოება სიამოვნებისაგან ღმუის, ყვირის, კივის, ფეხებს აბრახუნებს...

რა მოსდა? ნუთუ ბალტიმორში (აშშ) ჯერ არავის უნახავს სტრიპტიზი? ნუთუ ბალტიმორელებს უკვირთ ქალის ტანის ამგვარი გრესა, ან ფეხის ცხვირამდე აწევას, ან ქალის მიერ ტანსაცმლის გახდის პროცესი? ან იქნებ ამ სამ მოცეკვავე ქალს რაღაც არაჩვეულებრივი ტანი აქვთ? ვერც ამას ვიტყვი.

მაშ რით მოხიბლეს მათ დამსწრე საზოგადოება? ამ კითხვაზე არც ისე იოლია პასუხის გაცემა, თუ... თუ არ მივაქცევთ ყურადღებას შეძახილებს:

- მიდი, დე გოლ!
- ფეხი მაღლა, ადენაურ! კიდევ! ბის!
- ტემპო, ბრანდტ! ბრავო!

დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „კვიკის“ ცნობით, აღნიშნული სტრიპტიზი ბალტიმორში არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობს. მაგრამ რა შუაშია დე გოლი, ადენაური ან ბრანდტი? სწორედ ამ გვარებმა მოხიბლა დამსწრე საზოგადოება და სახელი გაუთქვა მოცეკვავე ქალებს, დასავლეთ ევროპის ამ სამი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის მოგვარეებს: შორლოტა დე გოლს, ვილჟელმინა ბრანდტსა და კონი ადენაურს!

ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ იმ დღით, როდესაც ოთხმოცდარვა წლის კონრადმა ამოიკითხა „კვიკის“ ეს ცნობა, მას პირველად გაეღიმა ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე და მიუახლოვდა სარკეს.

— მაშ, ცოცხალი ვარ, არა? პი-პი-პი! ადამიანები მართო ჩემს სახელზეც ბიზნესს აკეთებენ!

შემდეგ გასწორდა წელში და წამოიძახა:

— ნაინ, მაენე დამენ უნდ ჰერენ, ნაინ! კონრად ადენაურ ისტ ნიქტ გეშტორბენ! (არა, ჩემო ქალბატონებო და ბატონებო, არა! კონრად ადენაური არ მომეკვდარა!)

როგორც ახლა ირკვევა, ადენაურის მხიარულების მიზეზი მართო ბალტიმორული სტრიპტიზი როდი იყო. სწორედ იმ დროს, როდესაც მშვენიერი კონი ადენაური შორეულ ამერიკაში ფეხებს იქნევდა, კონრადის მემკვიდრემ — ლუდვიგ ერპარდმა რეინის ნაპირებზე მუსტების ქნევა დაიწყო. მის მიერ შედგენილი მთავრობის ანგარიში იაფფასიან სტრიპტიზს უფრო წააგავდა, ვიდრე გონიერი ადამიანის ნააზრევს. ახალმა კანცლერმა ისე მოქნილად გაიხსნა ტანსაცმელი, სტრიპტიზის მოცეკვავე ქალებს რომ ენახათ, შურით გულში დაუსკდებოდათ. და აი ერპარდი მთელი თავისი „მშვენიერებით“ წარსდგა ადამიანთა წინაშე. გამოირკვა საოცარი რამ: კონრადი და ერპარდი აღნაგობით ტყუპებივით ჰგვანან

ერთმანის! პირველ რიგში ტვისის აღნაგობაზე მოგახსენებთ.

ძველი ინდური რელიგია ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ერთი ცხოველის სულის მეორეში გადასახლება. დასავლეთ გერმანიაში ჩატარებული ცდა, როგორც ხედავთ, კაცობრიობის ისტორიაში პირველად ასაბუთებს ამ დებულებას პრაქტიკულად...

კონრად ადენაური იცინის... მართალია, იგი მოაშორეს კანცლერის რეზიდენციას — შაუმბურგის სასახლეს („გამომბაზანლერეს“, როგორც აღნიშნა მან), მაგრამ ნასეშტრასეზე, სადაც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის შტაბ-ბინაა, როგორც პარტიის თავმჯდომარემ, საკმაოდ მტკიცე პოზიციები შეინარჩუნა. აკი უთქვამს „მე ყოველ დღეს ვინმარ, რათა ნასეშტრასემ კვლავ მიიპყროს ხალხის ყურადღებაო“.

მაშინ ადენაურს არ ეცინებოდა. მაშინ მხოლოდ მსოფლიო იცინოდა: პოლიტიკური ლეში გაღვანიზაციავ ფიქრობს-ო. მისი მემკვიდრე ლუდვიგ ერპარდიც რაღაც იმედებს იძლეოდა: „ჩემი პოლიტიკა — ზომიერებისა და ურთიერთგაგების პოლიტიკა... კანცლერის შეცვლა უბრალოდ ერთი ადამიანის მეორე ადამიანით შეცვლას როდი ნიშნავს. სინამდვილეში დასრულდა მთელი ეპოქა... გუშინდელი მეთოდები დღეს აღარ გამოგვადგება...“

მაგრამ დასავლეთ გერმანიიდან კვლავ მოისმის ადენაურის პანგები:

— პალშტეინის დოქტრინა ურყევია: არავითარი ურთიერთობა მათთან, ვინც უკავშირდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

- 1937 წლის საზღვრების აღდგენა!
- დასავლეთ ბერლინი ჩვენია!

და ასე შემდეგ. ღირს კი გაგარძელება? ძველთა-ძველი სიმღერაა, რომელიც უკვე კარგად არის ცნობილი ყველასათვის...

ავტობიოგრაფიაში, რომელიც ადენაურმა ამერიკულ ჟურნალ „ლაიფს“ გაუგზავნა, იგი აღნიშნავდა, რომ უკიდურესი დალილობის მომენტებში, ფეხებს ცივ წყალში ყოფს, რითაც სისხლის თავში ავარდნას და შრომისუნარიანობის აღდგენას იწვევს. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ამ მეთოდს ერპარდიც იყენებს. ასე რომ პარტიის თავმჯდომარეცა და მთავრობის მეთაურიც ყინულში სხედან.

მუსხამდე ცივ წყალში დგანან ტვისის უკანასკნელ ზვეულამდე ცივი ომის ეს თაყვანისმცემლები. ადენაურ-ერპარდის დუეტი ახალი არ არის, მეოფრამეტე წელია გრძელდება, მაგრამ ეს როდი მოწმობს მის უსარულობას და უკვდავებას.

ყველაფერს დასასრული აქვს: ადენაურსაც, მის პოლიტიკასაც, თუნდაც მას „ეკონომიური სასწაულის მამაც“ უბლაჭებოდეს.

ზანუი ბარა

## ქაჩაგმული ნაკვესები

ჩემი მგზავრები ისე ჩქარა ჩადიან, რომ ხურდის მიცემას ვერ ვასწრებ.

რაიონში რატომ წავიდოდი, როცა ჯერ კიდევ ინსტიტუტში ყოფნის დროს მოვამზადე ნიადაგი. ქალაქში დასარჩენად.

— რა დალიე, კაცო, ასეთი

სიმწარე რომ ამოგდის პირიდან?

— შაქრიანი ღვინო.

ბ. ბახტაძე

ბურთი ტალახიანი იყო, მაგრამ კარში სუფთად გადიოდა.

ჟ. კასრაძე

ნ. ბ. შ. ავაშიძისა

# საბჭოთა



— ვაჟა, დეიდა ნაზიბროლა სტადიონზე მოლარედ მოეწყო!..

დიდი ნიჭით არ გამოირჩეოდა კონდრატი, მაგრამ ნიჭიერი კაცის სახელი მაინც გაუვარდა. შეიძლება ეს მისმა გარეგნობამაც განაპირობა. სერიოზული სახე ზვიადი იერი, შეჭმუხვნილი წარბები, სათვალეები (თუმცა, როგორც ამბობენ, კონდრატს არწივის მხედველობა ჰქონდა). თუმცა მისი გენიოსად მონათვლის მიზეზი სულ სხვა გარემოება იყო. კონდრატს ძალიან მედიდურად ეჭირა თავი, მისი მოსაწონი არაფერი მოიპოვებოდა ამ ქვეყნად. — აბსურდია!.. დეგენერატობაა!..

რაც მთავარია, კონდრატს ძალიან უყვარდა უცხო სიტყვების ხმარება, ერთადერთი წიგნი, რომელსაც დიდი გატაცებით კითხულობდა, ეს იყო უცხო სიტყვათა ლექსიკონი. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში კაცი ძნელად იპოვიდა ქართულს, ზოგს ეჭვიც ეპარებოდა, საერთოდ იცოდა თუ არა კონდრატმა ქართული, მართივ აზრს ისეთ ბურუსში გახვევდა, რომ შეუიარაღებელი თვალით ძნელი იყო მისი გარკვევა. მიუხედავად იმისა, რომ კონდრატმა არც ერთი უცხო ენა არ იცოდა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ მის ლაპარაკს თავისუფლად გაიგებდნენ უცხოელები.

კონდრატი არასოდეს არაფერს იკითხავდა, რადგან რაიმეს კითხვა ყოველსმცოდნე კაცის ღირსების შეზღავანებას ნიშნავდა. სწორედ ამ ჩვეულებამ ჩააყენა იგი უხერხულ მდგომარეობაში.

ეს მოხდა ასე. სოლომონ კვირიტიამ ერთი ასეთი ოინი მოაწყო: მან დაიყოლია მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელი (კონდრატი და სოლომონი ერთად მუშაობდნენ მუზეუმში), ერთი ორი კონდრატის მეზობელი და ერთი საერთო გარეშე ნაცნობი. შეთანხმდნენ: მოეგონათ რაიმე უაზრო სიტყვა და ეხმარათ ისე, რომ კონდრატს გაეგო, კონდრატი, რა თქმა უნდა, არ იკითხავდა ამ სიტყვის მნიშვნელობას და აფორიჭებოდა. მალე სოლომონმა ეს სიტყვა მოიგონა: სიაბორენტო.

მიუჭდა თუ არა კონდრატი სამუშაო მაგიდას, სოლომონმა თითქმის ყურში ჩასჩხავლა მას: — სიაბორენტო, სიაბორენტო — აი შეხედე? — და სოლომონმა უამთავლისაგან გაყვითლებული ქალღღებების გროვა გაშალა. — რას მელაპარაკებ! — წამოიძახა იროდი კავსაძემ და ინტერესით დაუწყო თვალთვლა გაყვითლებულ ქალღღებებს.

— მართლაც სიაბორენტოა, — ახლა იროდიმ ჩასძახა კონდრატს. კონდრატი გაილურსა და თავისთვის ასო-ასო აქნა სიტყვა „სიაბორენტო“. რომელი სიტყვებისაგანაა შედგენილი ნეტავ? გავიდა ხანი, ახლა ნადეჟდა დოლოძე დაატყდა თავს კონდრატს.

— ბატონო კონდრატ, ახალი ფილმი თუ ნახეთ, ნამდვილი სიაბორენტოა. კონდრატს არაფერი უპასუხნია.

მეზობლებმა ხომ სულ გადარიეს კონდრატი.

— კონდრატს ვეანცვალე, რალაც დაღონებული ხარ, თქვენ არ შეგფერით, სიაბორენტოა და მეტი არაფერი.

მეზობლები ხამუშხამუშ აწვეთებდნენ ამ სიტყვას.

— ისეთი სამწვადე ვიყიდე, რომ თითვეს ჩაიკვნეტ, უნდა გაგასინჯო, ნამდვილი სიაბორენტოა.

ნაცნობმა სულ გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააგდო კონდრატი.

— წვიმას აპირებს, მამაკაცები ქოლგას არ ვატარებთ, სიაბორენტოა და მეტი არაფერი.

თეთრად გაათენა კონდრატმა, უცხო სიტყვათა ლექსიკონი თავიდან ბოლომდე გადაიკითხა, მსგავსი არაფერი შეხვდა. კვირა დღე საჯარო ბიბლიოთეკაში გაატარა და ახლა დარგობრივი ლექსიკონები გადაქექა, კვალსაც ვერ მიაგნო.

კონდრატი დადნა, გაყვითლდა, და ბოლოს, მოთმინებაც დაკარგა. თანამშრომლები კი „ინკვიზიტორებივით“ ჩხვლეტდნენ ამ წამახვილებული სიტყვით:

— საგზურები მოუტანიათ მუზეუმში, აუცილებლად აიღეთ, ბატონო კონდრატ, არა და სიაბორენტო...

ეს კი მეტისმეტი იყო, კონდრატმა ვეღარ გაუძლო და არაადამიანურად იყვირა:

— რა ოხრობაა ეს სიაბორენტო, რამ დაგვიმახინჯათ ეგ ენა, ვერ ილაპარაკებთ ქრისტიანულად. — კონდრატი ყვიროდა და თუმცა საალერსოს არაფერს ამბობდა, მაგრამ სიამოვნებით დაგაკვირვებიათ უსმენდნენ მას.

ყველამ პირველად გაიგო კონდრატის წმინდა და გამართული ქართული.

გ. პ.

## მინიაჟურები

### თარჯიმანი ლაპკირდვა

უფროსი ძმა ინგლისურს სწავლობს, შუათანა გერმანულს, მე, ფრანგულს; როდესაც კარგად ვისწავლით ამ ენებს, ჩვენ, ალბათ, თარჯიმანი დაგვჭირდება, რომ ერთმანეთს ველაპარაკოთ.

### 6. ლელაშვილი


— რა თემა გაქვს დისერტაციისათვის აღებული? — ეკითხება ერთი მეორეს.

— ცარიელ ჭურჭლიდან დაცარიელებულში გადასხმა! — თავმოწონედ უპასუხებს „მომავალი დოცენტი“.

— ჩემის აზრით, უკეთესი იქნება, თემას თუ წააწერ სათაურად: დაცარიელებულ ჭურჭლიდან ცარიელში გადასხმა.

— არავითარ შემთხვევაში! ეგ სათაური, ჩემო ძმაო, მე სადოქტორო დისერტაციისათვის მაქვს შემონახული.

### თ. შორღანი



უტექსტო ხუმრობა

რამდამტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, ხართო განყოფილების—2-10-49

ხელმოწ. დასაბ. 80/III-1964 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1 ლენინის 14. შვკვ. № 850. უგ 04191. ტირაჟი 40.000


დასავლეთ გერმანიაში დაიწყეს სამხედრო რაკეტების სერიული წარმოება, რაც ბონის ხელისუფალთ კოსმიურ რაკეტებად უნდათ გაასაღონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფიცი მყამს, ბოლო მაკვირვებს...

„საკუთარი ნება-სურვილით“ აფრიკის მთელი რიგი ქვეყნებიდან გამოყრილი კოლონიზატორები კვლავ ბრუნდებიან იქ შემოვლითი გზით.



უკანა კარებიდან.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ლაფში ეფლობა.



ლაფში ჩაფლული ტანკები, უინ მიტანილი ჰკონია!